



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

სასტუმრო მომსახურების მართვა
Hotel Service Administration

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი მარინა მეტრეველი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ტურიზმის მაგისტრი Master of Tourism <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i>
--

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

<p>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა თეორიულად იცოდეს და პრაქტიკულად შეძლოს სასტუმროს ოპერაციული მენეჯმენტის წარმართვა, რაც ნიშნავს: სასტუმრო ბიზნესის საწარმოებში (სასტუმროებში, გესტჰაუზებში, ჰოსტელებში, მოტელებში და სხვა სახის განთავსების ობიექტებში) დეპარტამენტებისა და სამსახურების მართვას; მომსახურების ხარისხის კონტროლს; სტრატეგიული გეგმის შედგენასა და მისი განხორციელებას. მას ასევე შეეძლება სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრა.</p> <p>საქართველოს ტურიზმის განვითარების დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ტურისტული ბაზრის ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობები უკავშირდება სხვადასხვა დონისა და კატეგორიის სასტუმროს ადმინისტრაციულ მმართველობით თანამდებობებს. სასტუმროების მსოფლიო ჯაჭვის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიცაა: მარიოტი, ჰაიატი, ჰოლდეი ინი, რედისონი და სხვა ქართულ ბაზარზე არსებული ბრენდები, ზემოაღნიშნული პერსონალის სიმწირის გამო, შიდა სწავლებით თვითონ ამზადებენ ადმინისტრაციულ სტაფს; ხოლო შედარებით დაბალი კლასის სასტუმროები მუდმივად განიცდიან პროფესული კადრების სიმწირეს, რაც თავის გავლენას ახდენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე. საქართველოში აღნიშნული პროგრამა მაგისტრატურის დონეზე თითქმის არსად არ ისწავლება, განსაკუთრებით ევროკავშირის პროექტის ფარგლებში განხორციელებული აკადემიური პერსონალის გადამზადებისა და სასწავლო მეთოდოლოგიური მასალებით უზრუნველყოფის პრობლებში, რაც უზუნველყოფს პროგრამით მიღებული მაღალი დონის ცოდნას.</p>
--

პროგრამის აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით და შეადგენს 120 კრედიტს (საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 2 წელი, 4 სემესტრი), 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტი - 75 კრედიტი წარმოდგენილია მაგისტრანტებისთვის გათვალისწინებული 26 სასწავლო კურსის სახით, კვლევითი კომპონენტი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისა მოცულობით - 45 კრედიტი. იგი მოიცავს სამაგისტრო კვლევით პროექტ/პროსპექტუს (5 კრედიტი), თეორიულ ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოქვიუმს (10 კრედიტი) და ასევე სამაგისტრო ნაშრომის დასრულებასა და დაცვას (30 კრედიტი).

ერთი სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტის ცოდნის შეფასება ხდება ყოველკვირეული შუალედური შეფასებით, რომელიც ფასდება მაქსიმალური 30 ქულით, 2 შუალედური შეფასებით, რომელთაგან თითოეული ფასდება მაქსიმალური 20 ქულით და ერთ დასკვნითი გამოცდით /XVIII-XIX კვირა/, რომელიც ფასდება მაქსიმალური 30 ქულით. ასევე, XX-XI კვირას, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი გადის დამატებით გამოცდაზე, თუ მანამდე მის მიერ დაგროვილი ქულების რაოდენობაა 41-50 ქულა, ან დასკვნით გამოცდაზე მიღებული აქვს 8-ზე ნაკლები ქულა. დამატებითი გამოცდები ტარდება დასკვნითი გამოცდის შემდეგ 10 დღის შუალედით.

კვლევითი კომპონენტების ელემენტები.

სამაგისტრო კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი წარმოადგენს კვლევის შედეგების აღწერას და ანალიზს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამაგისტრო ნაშრომთან ([http://www.gtu.ge/pdf/danarTi%204%20\(magistraturis%20saganmanaTleblo%20programis%20kvleviTi%20komponentis%20Sefasebis%20wesi\).pdf](http://www.gtu.ge/pdf/danarTi%204%20(magistraturis%20saganmanaTleblo%20programis%20kvleviTi%20komponentis%20Sefasebis%20wesi).pdf)). პროექტ/პროსპექტუსში უნდა აღინიშნოს, საკვლევი საკითხის აქტუალობა, განსახილველი თემის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები, იგი უნდა შეიცავდეს სავალდებულო ბიბლიოგრაფიისა და შესასწავლი ლიტერატურის შემაჯამებელ შედეგებს, ასევე შესასწავლი საკითხის ისტორიას. სამაგისტრო კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი ფასდება მაქსიმალური 100 ქულით, შემაჯამებელი ორი შუალედური (30+30 ქულა) და დასკვნითი (40 ქულა) გამოცდებით.

შუალედურსა და დასკვნით გამოცდებზე, სტუდენტს აფასებს ხელმძღვანელი შესაბამისი ოთხი კომპონენტით: საკვლევი თემის აქტუალობა, მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება, ლიტერატურის განხილვა, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

პროექტი/პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები აღწერილია დოკუმენტში - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი. http://www.gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_kvlev_komp_sefas_wesi_dan%204_SD.pdf

თეორიულ ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოქვიუმზე მაგისტრანტი იწყებს მუშაობას სწავლების მეორე წელზე, რომელიც მესამე სემესტრში გულისხმობს ნაშრომის წარდგენასა და პრეზენტაციას, დაკავშირებულს ნაწილობრივ სამაგისტრო ნაშრომის თემასთან. სწავლების მესამე სემესტრის მეშვიდე და მეთოთხმეტე კვირას კოლოქვიუმში მაგისტრანტმა უნდა წარმოადგონოს კონკრეტული კვლევის საკითხის მოცულობა და სიღრმე, ასევე მიღწეული შედეგები. ძირითადი მიზანი კოლოქვიუმისა არი ს ცოდნის სისტემატიზაცია, ნაშრომის შედეგის წარდგენა/პრეზენტაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისება და საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, რომელიც წამოიქმნება მუშაობის პროცესში კომუნიკაციის უნარის გამომუშავებისას პროფესიულ საქმიანობაში. სწავლების მესამე სემესტრის მე-7 და მე-14 კვირას მაგისტრანტი წარმოადგენს ხელმძღვანელს მიმდინარე თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის ძირითად შედეგებს.

ხელმძღვანელი აფასებს მათ (პირველი და მეორე შუალედური შეფასება, მაქსიმალური თითოეული შუალედური შეფასებისა შეადგენს 30 ქულას) ხუთ კომპონენტთან შესაბამისობაში. კოლოქვიუმის დასკვნითი შეფასება (მაქსიმალური 40 ქულა) წარედგინება წერილობით დეკანს სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 კვირისა), რომელიც ქმნის 5-7 წევრისაგან შემდგარ კომისიას. კომისიის თითოეული წევრი აფასებს პრეზენტაციას ხუთი კომპონენტით. კოლოქვიუმის შეფასების ხუთ კრიტერიუმს შეადგენს: მეთოდებისა და ჩატარებული კვლევის მიმართულებების შესაბამისობა; მიმდინარე ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი; კვლევის შემდგომი მიმართულებების განსაზღვრა; თემის წარდგენის უნარი.

კოლოქიუმის შეფასების კრიტერიუმები აღწერილია დოკუმენტში - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი. http://www.gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_kvlev_komp_sefas_wesi_dan%204_SD.pdf

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, მისი საჯარო დაცვა და დასკვნითი შეფასება დგინდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და მტკიცდება დადგენილებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მიიღება შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებების შეკრებით. მაქსიმალური ქულა ორ შუალედურ გამოცდაზე 30 ქ., მინიმალური - 15 ქ., მაქსიმალური ქულა დასკვნით გამოცდაზე 40 ქ., მინიმალური 20ქ.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ხელმძღვანელის მიერ პირველი ხუთი კომპონენტის საფუძველზე: საკვლევი მიმართულების აღწერა, აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა; საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი; კვლევის მეთოდები გამოყენება; კვლევის წარმოდგენილი შედეგების განხილვა; ჩატარებული კვლევით მიღებული დასკვნები (დანართი 3) რექტორის მიერ ბრძანებით დადგენილ ვადებში.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს საგამოცდო კომისიის 5-7 წევრი 40 ქულიანი შეფასების სისტემით კრიტერიუმებით: საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა - ფასდება 4 ქულით; საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი - ფასდება 4 ქულით; კვლევის მეთოდები გამოყენება - ფასდება 4 ქულით; კვლევის წარმოდგენილი შედეგების განხილვა - ფასდება 4 ქულით; ჩატარებული კვლევით მიღებული დასკვნები- ფასდება 4 ქულით; ნაშრომის გაფორმებისა და მისი წარდგენის ხარისხი - ფასდება 5 ქულით; შეფასების კრიტერიუმები აღწერილია დანართში (დანართი 3).

მაგისტრის აკადემიური ხარისხის საძიებლად წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია იხ. http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi%205_Sd.pdf

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხ. [http://www.gtu.ge/pdf/danarTi%204%20\(magistraturis%20saganmanaTleblo%20programis%20kvleviTi%20komponentis%20sefasebis%20wesi\).pdf](http://www.gtu.ge/pdf/danarTi%204%20(magistraturis%20saganmanaTleblo%20programis%20kvleviTi%20komponentis%20sefasebis%20wesi).pdf)

პროგრამის სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრის მოცულობა მაგისტრანტისთვის შედგება სავალდებულო 5 კრედიტიანი 4 სასწავლო კურსისაგან, 5 კრედიტიანი არჩევითი 4 სასწავლო კურსისაგან (რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთს) და 5 კრედიტიანი სპეციალობის არჩევითი 2 სასწავლო კურსიდან (რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთს).

პროგრამის სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრის მოცულობა სტუდენტისათვის შედგება სავალდებულო 5 კრედიტიანი 3 სასწავლო კურსისაგან, 5 კრედიტიანი არჩევითი 4 სასწავლო კურსისაგან (რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთს), 5 კრედიტიანი სპეციალობის არჩევითი 4 სასწავლო კურსიდან (რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთს) და სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსაგან, რომელიც მოიცავს 5 კრედიტს.

სწავლების მეორე წლის პირველი სემესტრის მოცულობა შედგება სავალდებულო 5 კრედიტიანი 3 სასწავლო კურსისაგან (მ. შ. საწარმოო პრაქტიკა სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში), 5 კრედიტიანი სპეციალობის არჩევითი 2 სასწავლო კურსისაგან (რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთს) და თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქიუმისაგან, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს.

პროგრამის **სწავლების მეორე წლის მეორე სემესტრში** მაგისტრანტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო დისერტაციის დაცვა მოიცავს 30 კრედიტს.

მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხ.

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_Sd.pdf

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენტურობები)

ცოდნა და გაცნობიერება: აქვს მმართველობითი და ადმინისტრირების მსოფლიო გამოცდილების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; აქვს განთავსების ობიექტების ადმინისტრირების კვლევის სპეციფიკური მეთოდების სიღრმისეული ცოდნა; სასტუმროს მომსახურების ადმინისტრირების, მენეჯმენტში, მარკეტინგში, ფინანსებში არსებული კონკრეტული პრობლემების გაცნობიერება; აქვს სასტუმროს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, აუდიტორული სტანდარტებისა და პროცედურების, სასტუმროს ბიზნეს-ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნათა დრმა და სისტემური ცოდნა; აცნობიერებს ტურიზმისა და სასტუმროს მართვის ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; აქვს სასტუმრო ბიზნესში არსებული თეორიული პოსტულატები ახლებურად გააზრებული და გაცნობიერებული.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მენეჯმენტის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა; ინოვაციური ტექნოლოგიების შერჩევის, დანერგვისა და ეფექტურად გამოყენების უნარი. მცირე ბიზნესის, ბიზნესკომუნიკაციის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების საფუძველზე სასტუმროს საქმიანობის, მცირე ბიზნესის დაგეგმვა, წარმატებით მართვა და კონტროლი; ინფო-ტელეკომუნიკაციური რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი; სასტუმროს მომსახურების ადმინისტრირების ინოვაციური ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის უნარი სასტუმროს მართვის სისტემების გამოყენებით.

დასკვნის უნარი: რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; სასტუმროს მენეჯმენტის სფეროში რთული და არასრული ინფორმაციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული, მათ შორის, ტურიზმისა და სასტუმროს მცირე ბიზნესის, ბიზნესკომუნიკაციის პროცესების მართვის სფეროში ცალკეული პროცესების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე ზოგადი დებულებებისა და დასკვნების ჩამოყალიბება; ელექტრონული ცხრილების დახმარებით გადაწყვეტილებათა მიღების მოდელის აგება.

კომუნიკაციის უნარი: საკუთარი დასკვნების და არგუმენტაციის კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე აკადემიური სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა; ზედმეტად გართულებული ენისთვის თავის არიდებისა და ლოგიკურად გამართული წერითი კონსტრუქციების შექმნის უნარი; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; წერითი კომუნიკაბელ ურობის უნარი მენეჯმენტის, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის, მომსახურების ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის პროცესების მართვის სფეროში; იდეების, საპროექტო წინადადებების, პროექტის მიმდინარეობის თუ საბოლოო ანგარიშის დეტალური ლოგიკურად გამართული კონსტრუქციების წერილობით მომზადება, პროექტების პრეზენტაციის მომზადება.

სწავლის უნარი: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; მენეჯმენტის, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის, ბიზნესკომუნიკაციის პროცესების მართვის და ა.შ. სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა აკადემიურ ან საკვალიფიკაციო სწავლების გარემოში.

ღირებულებები: საზოგადოებრივი პრინციპებისა და ფასეულობების ცოდნა; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ფასეულობებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- | | | | |
|--|---|---|---|
| <input checked="" type="checkbox"/> ლექცია | <input checked="" type="checkbox"/> სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | <input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკული | <input type="checkbox"/> ლაბორატორიული |
| <input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკა | <input type="checkbox"/> საკურსო სამუშაო/პროექტი | <input checked="" type="checkbox"/> კონსულტაცია | <input checked="" type="checkbox"/> დამოუკიდებელი მუშაობა |

სამაგისტრო ნაშრომი

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. შემთხვევების შესწავლა (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

5. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

6. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

7. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

8. ანალიზის მე თოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

9. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

10. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

11. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

12. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.

13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება

მოცემული თემის ფარგლებში.

14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

15. როლური და სიტუაციური თამაშები – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

16. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შუალედური შეფასება - მაქსიმალური შეფასება - **30 ქულა**
- შუალედური შეფასება
I შუალედური შეფასება - მაქსიმალური შეფასება - **20 ქულა**
II შუალედური შეფასება - მაქსიმალური შეფასება - **20 ქულა**
- დასკვნითი გამოცდა - მაქსიმალური შეფასება - **30 ქულა**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითადი პოტენციური სფეროებია: სასტუმროები, გესტჰაუზები, მოტელები, ჰოსტელები და განთავსების სხვა ობიექტები; სანატორიულ-საკურორტო ობიექტები; დასასვენებელი სახლები და შატოები; გასართობი ცენტრები სასტუმროებში; სპორტულ - გამაჯანსაღებელი ცენტრები; სამეცნიერო და ანალიტიკური სტრუქტურები ტურიზმში; სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ტურიზმისა და განთავსების ობიექტების პროფილით; ტურიზმთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციები; ტურიზმის რეგიონული ორგანიზაციები; ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ტუროპერატორული ფირმები; ტურისტული სააგენტოები; ტურიზმის პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები; ტურისტთა მომსახურების სხვა საწარმოები, რომლებიც დაკავშირებულია განთავსების მომსახურების (სასტუმროს) პროდუქტის

დაპროექტებასთან, კვლევასთან, წარმოებასა და მართვასთან.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 26

საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		სულ, კრედიტები
		სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV	
	სასწავლო კომპონენტი:					
1	სასწავლო სავალდებულო კურსები	30	25	20		75
	კვლევითი კომპონენტი:					
2	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი		5			5
3	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი			10		10
4	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS	სემესტრში	30	30	30	30	120
	კურსზე	60		60		120

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
		სასწავლო კომპონენტი სავალდებულო კურსები:					
1	THBUS07GA1-LS	ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესი	არ გააჩნია	5			
2	THBUS07GA1-LS	სასტუმროს პერსონალის მართვა	არ გააჩნია	5			

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
3	MTEHI07GA1-LS	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები	არ გააჩნია	5			
4	ITMAR07GA1-LS	საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი	არ გააჩნია	5			
5	HOSTM07GA1-LS	სასტუმროს სტრატეგიული მენეჯმენტი	სასტუმროს პერსონალის მართვა		5		
6	MSLHI07GA1-LS	მენეჯერული უნარები და ლიდერობა სასტუმრო ინდუსტრიაში	სასტუმროს პერსონალის მართვა		5		
7	HOTEF07GA1-LS	სასტუმროს ეკონომიკა და ფინანსები	არ გააჩნია		5		
8	THILR07GA1-LS	ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის საკანონმდებლო რეგულირება	ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესი			5	
9	MPOMT07GA1-R	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში	სასტუმროს პერსონალის მართვა, სასტუმროს სტრატეგიული მენეჯმენტი, მენეჯერული უნარები და ლიდერობა სასტუმრო ინდუსტრიაში			5	
10	ODPMHI07GA1-LP	ორგანიზაციული პროექტირება და პროექტების მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში	ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესი			5	
		არჩევითი საგნები		5	5		
11	BSCE007GA1-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური ენა)	არ გააჩნია	5			
12	TPT0007GA2-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია		5		
13	BSCG007RA3-P	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული ენა)	არ გააჩნია	5			
14	TPSTG07RA3-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	არ გააჩნია		5		
15	BSCF007RA3-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული ენა)	არ გააჩნია	5			
16	TPSTF07RA3-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ გააჩნია		5		
17	BSC0007GA3-P	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული ენა)	არ გააჩნია	5			
18	TPT0007GA3-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ გააჩნია		5		
		სპეციალობის არჩევითი საგნები		5	5	5	
19	EVMMT07GA1-LS	ღონისძიებების მენეჯმენტი და MICE	არ გააჩნია	5			

№	საგნის კოდი	საგანი	დამუშავების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
		ტურიზმი					
20	ENETM07GA1-LS	გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი	არ გააჩნია	5			
21	HQSM007GA1-LS	სასტუმროს მომსახურების ხარისხის მართვა	სასტუმროს პერსონალის მართვა		5		
22	BRMAN07GA1-LS	ბრენდმენეჯმენტი	საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი		5		
23	CCLAW07GA1-LS	შედარებითი სახელმწიფო სამართალი	არ გააჩნია		5		
24	FBMG007GA1-LS	კვებისა და სასმელების მენეჯმენტი	არ გააჩნია		5		
25	INMAR07GA1-LS	ინტერნეტ-მარკეტინგი	საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი			5	
26	HSSC007GA1-LS	სასტუმრო მომსახურების სტანდარტიზაცია და სერტიფიცირება	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები			5	
კვლევითი კომპონენტი							
სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი 1			არ გააჩნია		5		
თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი 2			სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი 1			10	
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა							30
სემესტრში				30	30	30	30
წელიწადში				60		60	
სულ				120			

სწავლის შედეგების რუკა			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	THBUS07GA1	ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
2	HOTHR07GA1	სასტუმროს პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
3	MTEHI07GA1	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
4	ITMAR07GA1	საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
5	HOSTM07GA1	სასტუმროს სტრატეგიული მენეჯმენტი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
6	MSLHI07GA1	მენეჯერული უნარები და ლიდერობა სასტუმრო ინდუსტრიაში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
7	HOTEF07GA1	სასტუმროს ეკონომიკა და ფინანსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
8	THILR07GA1	ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის საკანონმდებლო რეგულირება	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
9	MPOMT07GA1	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
10	ODPMHI07GA1	ორგანიზაციული პროექტირება და პროექტების მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>
არჩევითი საგნები								
11	BSC0007GA2	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური ენა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
12	TPT0007GA2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
13	BSCG007RA3	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული ენა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
14	TPSTG07RA3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
15	BSCF007RA3	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული ენა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
16	TPSTF07RA3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
17	BSC0007GA3	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული ენა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
18	TPT0007GA3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
სპეციალობის არჩევითი საგნები								
19	EVMMT07GA1	ღონისძიებების მენეჯმენტი და MICE ტურიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>

20	ENETM07GA1	გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
21	HQSM007GA1	სასტუმროს მომსახურების ხარისხის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
22	BRMAN07GA1	ბრენდმენეჯმენტი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>	
23	CCLAW07GA1	შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
24	FBMG007GA1	კვებისა და სასმელების მენეჯმენტი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	
25	INMAR07GA1	ინტერნეტ-მარკეტინგი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
26	HSSC007GA1	სასტუმრო მომსახურების სტანდარტიზაცია და სერტიფიცირება	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			
		კვლევითი კომპონენტი						
		სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	
		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	

პროგრამის სასწავლო გეგმა

საგანი	საათები	ECTS		სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური/დასვე ნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
		საათი	ლექცია							
1	ტურიზმის და სასტუმრო ბიზნესი	5/135	30	15					2/1	87
2	სასტუმროს პერსონალის მართვა	5/135							2/1	87
3	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები	5/135	15	30					2/1	87
4	საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი	5/135	15	30					2/1	87
5	სასტუმროს სტრატეგიული მენეჯმენტი	5/135	15	30					2/1	87
6	მენეჯერული უნარები და ლიდერობა სასტუმრო ინდუსტრიაში	5/135	15	30					2/1	87
7	სასტუმროს ეკონომიკა და ფინანსები	5/135	30	15					2/1	87
8	ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის საკანონმდებლო რეგულირება	5/135	30	15					2/1	87
9	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროს ოპერაციულ მენეჯმენტში	5/135					45		2/1	87
10	ორგანიზაციული პროექტირება და პროექტების მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში	5/135	30	15					2/1	87
არჩევითი საგნები										87
11	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური ენა)	5/135			45				2/1	87
12	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/135	15	30					2/1	87
13	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული ენა)	5/135			45				2/1	87
14	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/135	15	30					2/1	87
15	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული ენა)	5/135			45				2/1	87
16	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/135	15	30					2/1	87
17	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული ენა)	5/135			45				2/1	87
18	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/135	15	30					2/1	87
სპეციალობის არჩევითი საგნები										
19	ლონისძიებების მენეჯმენტი და MICE ტურიზმი	5/135	30	15					2/1	87
20	გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი	5/135	30	15					2/1	87
21	სასტუმროს მომსახურების ხარისხის მართვა	5/135	15	30					2/1	87

საგანი	საათები	ECTS საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური/დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
22	ბრენდმენეჯმენტი	5/135	30	15					2/1	87
23	შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	5/135	30	15					2/1	87
24	კვებისა და სასმელების მენეჯმენტი	5/135	15	30					2/1	87
25	ინტერნეტ-მარკეტინგი	5/135	15	30					2/1	87
26	სასტუმრო მომსახურების სტანდარტიზაცია და სერტიფიცირება	5/135	30	15					2/1	87

პროგრამის ხელმძღვანელი

მარინა მეტრეველი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
21 დეკემბერი 2015 წელი
ოქმი №6

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

მოდიფიცირებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2016 წლის 11 ივლისის
№ 2075 დადგენილებით

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიბიგური